+

პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის ---- მარტი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2024 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ს. ჯოლოხავა

შეთანხმებულია

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482507028**
თარიღი: **11/03/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის შესაბამისად გიგზავნით მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ანგარიშს 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.(თან ერთვის).

დანართი 7 ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების

სამსახურის ანგარიში 2024 წლის III-IV კვარტალში

გაწეული მუშაობის შესახებ

2024 წელს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოიყო 29,590500 ლარი (აღნიშნულ თანხაში შესულია 2023-2024 წლების გარდამავალი პროექტების ღირებულება), საიდანაც 14 522 600 ლარი გამოიყო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან, 15 037 900 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2024 წელს სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის გამოყოფილი დაფინანსებიებიდან მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ლოკაციებზე (მისამართებზე) გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების მიზნით განხორციელდა 17010900 ლარის ღირებულების სამუშაოები, ხიდ- ბოგირების რეაბილიტაციისათვის- 479000 ლარის, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციისათვის - 1107000 ლარის, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად - 1829900 ლარის, გარე განათების ახალი ქსელების მოწყობისათვის - 168600 ლარის ღირებულების სამუშაოები; ავარიული შენობების და საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა - 866400 ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობისა და თანადაფინანსებით საცხოვრებელი კორპუსების სახურავების, სადარბაზოების შეკეთებისათვის - 901 000 ლარი, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობისათვის - 628000 ლარი, შენობების ფასადების რეაბილიტაციისათვის - 117000 ლარი. სპორტული ობიექტების აღჭურვა რეაბილიტაციისათვის -386000 ლარი . საჯარო სკოლების მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურებისათვის შესაბამის კომპანიას ჩაერიცხვა- 432 411 ლარი.

სულ 2024 წელს სამსახურის მიერ რგ(პ) ფონდიდან, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარებისა და რეაბილიტაციის მიზნით გამოყოფილი ფინანსური რესურსების (ლიმიტის) გათვალისწინებით სამსახურის მიერ ინიცირებული და მერიის მიერ გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების 84 ხელშეკრულება. გათვალისწინებული სამუშაოების შესაბამის ვადებში და ხარისხიანად შესრულების უზრუნველსაყოფად სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან.

2024 წლის საანგარიშო პერიოდში (მე-3-4 კვარტალი) დასრულდა **რგ(პ) ფონდის** მიერ **2023--2024** წლების დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებული **პროექტები:**

- სოფელ **ახალ საყულიაში** - ბაღის გზის, ჭელიძეების გზის, მირზა ჩანქსელიანის უბანში გზისა და სასაფლაოს გზის მოწყობის,
- სოფელ **გეგუთში** - აღმაშენებლის, კუხიანიძეების და ფიროსმანის ქუჩებზე და ვარციხეჰესის დასახლებაში -შიდა გზების მოწყობის,
- სოფელ **ცხუნკურში** - ჯვარის უბანში, **სოფელ ცხუნკური-ბესიაურის** გზისა და დედაღვთისას მონასტერთან მისასვლელი გზის მოწყობის,
- სოფელ **ბანოჯაში** - მე-6 ქუჩისა და მელაძეების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის,
- სოფელ **ხომულში** სახერხის უბანში, მე-5 და 27 ქუჩებზე, **სოფელ ბანოჯაში №10**, №17 და №7 ქუჩების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის;
- **სოფელ** გუმბრაში ბზიკაძეების უბნიდან სასაფლაოს მიმართულებით **გზ**ების ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები;
- სოფელ **მუხიანში** - აბდალაძე-ფხაკაძეების უბნებში,
- სოფელ **საყულიაში (ძვ. საყულია)** -წისქვილის, მეკვერიების, ლომიძეებისა და კაშიას უბნებში,
- სოფელ **ოფურჩხეთში** - ახალი სასაფლაოს გზის,
- სოფელ **ჯიმასტაროში** - მანაგაძეების, მელქაძეების, ტურაბელიძეებს უბნებში, ყოფილი სკოლის უკან, ჩაკვეტაძეებისა და ხელაიების უბნებში,
- სოფელ **გუმათში** - ავალიანების, დაჩების, ველას უბნებში,
- სოფელ **ჩუნეშში** - (მე-10 ქუჩაზე), **ზედა ჩუნეშში** - ლორთქიფანიძე-თვალოძეების უბანში,
- სოფელ **ყუმისთავში** - შალამბერიძეების უბანში,
- სოფელ **ბანოჯაში** - 39-ე ქუჩაზე,
- **სოფელ მაღლაკში** - იმერეთის საყრდენ პუნქტში (ეკომიგრანტთა დასახლება) და ჭელიძეების უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში **დასრულდა ადგილობრივი ბიუჯეტის** მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- სოფელ **ბანოჯაში**, სოფ. ბუბისწყალში, სოფელ მაღლაკში მე-**10** ქუჩაზე, ქალაქ **წყალტუბოში, დედა-ენის** ქუჩის მე-2 ჩიხში და **ყაზბეგის** ქუჩის **მე-6 ჩიხში გარე** განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები;

- სოფელ სორმონში (ვახტანგაძეების უბანში), გუმბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ წყალტუბოში პირველი ქუჩის მე-4 და მე-5 ჩიხებში და ქალაქ წყალტუბოში, დედაენის ქუჩაზე გზების ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები;
- **სოფელ გვიშტიბში (კირთაძეების უბანში), სოფელ თერნალში, სოფელ ტყაჩირში (ლანჩავების, ჩხობაძეებისა და ღვინიანიძეების უბნებში) და ქალაქ წყალტუბოში,** ყაზბეგისა და ევდოშვილის ქუჩებზე არსებული სანიაღვრე სისტემის **სარეაბილიტაციო** სამუშაოების, ასევე ქალაქ წყალტუბოში **9** აპრილის ქუჩის მე-**3** შესახვევში **N3** ბინის მიმდებარედ **ახალი სადრენაჟე** სისტემისა **და** სოფელ **გვიშტიბში თამარ მეფის ქუჩაზე ახალი** სანიაღვრე **არხის** მოწყობის **სამუშაოები;**
- ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალურ პარკის ტერიტორიაზე გალაქტიონ ტაბიძის მემორიალური ბიუსტისა და კვარცხლბეკის მოწყობის, ასევე მიმდებარე ტერ იტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- 2024 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2025 წ პირველ კვარტალში დასრულდება სოფელ ბანოჯაში, *ფარცხანაყანევში, ცხუნკურში და მაღლაკში* (იმერეთის **საყრდენი პუნქტი) ახალი სპორტული** მოედნების **მოწყობის,** ასევე ქალაქ **წყალტუბოში** რუსთაველის ქუჩის 1-ელ ჩიხში, შანიძის ქუჩაზე და დედა-ენის ქუჩაზე მე-2 ჩიხში არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები;

საანგარიშო პერიოდში დასრულდა:

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული **პროექტები ქალაქ წყალტუბოში** 9 აპრილის ქუჩაზე №7 ბინასთან სკვერის მოწყობის სამუშაოები, ასევე სოფელ ფარცხანაყანევში კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვისა და კეთილმოწყობის სამუშაოები;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: **გუმათში, გეგუთში** (ვარციხეჰესის დასახლებაში), **საყულიაში, ხომულში** (27-ე ქუჩაზე), **გუმბრაში, მაღლაკში** (მე-6 და მე-9 ქუჩებზე), **სოფელ თერნალში,** ასევე **ქალაქ წყლატუბოში** ნინოშვილის ქუჩაზე **გარე განათების** ქსელის მოწყობის სამუშაოები;

2024-2025 წლების **დაფინანსების** ფარგლებში, **წყალტუბოს** მუნიციპალიტეტის **სოფელ გეგუთში** - ვარციხეჰესის **დასახლებაში, სოფელ მაღლაკში** - ჭეიშვილების **უბანში, სოფელ მუხიანში** - მეძმარიაშვილების **უბანში, სოფელ ოფშკვითში** - დეისაძეების **უბანში** და **სოფელ უკანეთში**- გვანცელაძეების **უბანში** გზების ბეტონის **საფარით** მოწყობის **სამუშაოები.**

- ქალაქ წყალტუბოში თბილისის ქუჩის N3 ბინის მიმდებარედ და კოლხეთის ქუჩაზე N10 ბინის მიმდებარედ სკვერების მოწყობის სამუშაოები;

- სოფელ მაღლაკში და სოფელ ზედა მესხეთში სპორტული მოედნების, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ხუთ ლოკაციაზე მგზავრთა მოსაცდელების მოწყობის სამუშაოები;
- სოფელ დღნორისის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების და ჩამოშლილი ფერდის მოჭრის სამუშაოების, სოფელ მექვენის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების სამუშაოების, სოფელ ოფურჩხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების სამუშაოებისა და სოფელ რიონის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების სამუშაოები;
- სოფლებში რიონსა და ნოღაში ხიდ-ბოგირების მოწყობის, სოფელ წყალტუბოში, ლორთქიფანიძის ქუჩის მე-7 და მე-8 შესახვევებში, ქალაქ წყალტუბოში, რუსთავისა და ბესიკის ქუჩებზე, სოფელ გვიმტიბში კირთაძეების ქუჩის გაგრძელებაზე სანიაღვრე არხების მოწყობის, ქალაქ წყალტუბოში, ქუთაისის ქუჩიდან გ. ტაბიძის ქუჩის მიმართულებით გამავალი არხის, ასევე გოგებაშვილისა და კოსტავას ქუჩებზე გამავალი არხის ამოწმენდის, დაღრმავებისა და გაფართოების სამუშაოები;
- სოფელ ქვიტირში, გეგუთში (ვარციხჰესის დასახლება) და გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) სკვერების მოწყობის, ასევე სოფელ გუმბრაში წისქვილთან არსებული წყაროს შემოღობვისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის, სოფელ საყულიაში ფანჩატურის მოწყობისა და ქალაქ წყალტუბოში ბალანჩივაძის ქუჩაზე ფანჩატურისა და ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები;
- სოფელ გუმბრაში, ქვილიშორში, ხომულში და ქვიტირში შიდა გზების ბეტონის საფარით მოწობის, ასევე სოფელ ტყაჩირში გიგატაძეების და აგიაშვილების უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები;
- სოფელ ჩუნეშში 27-ე ქუჩაზე და სოფელ ხომულში მე-13 ჩიხში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- სოფელ მაღლაკში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები;

საანგარიშო პერიოდში დაიწყო, მიმდინარეობს და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დასრულდება რგ(პ) ფონდის მიერ დაფინანებული პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები:

- სოფ. ქვილიშორში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის,
- სოფელ ოფშკვითში სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის,
- სოფ. მუხიანში აბდალაძე-ფხაკაძეების უბნებში,
- სოფ. საყულიაში (ძვ. საყულია) წისქვილის, მეკვერიეების, ლომიძეებისა და კაშიას უბნებში,
- სოფ. ოფურჩხეთში ახალი სასაფლაოს გზის,

- სოფ. ჯიმასტაროში მანაგაძეების, მელქაძეების, ტურაბელიძეებს უბნებში, ყოფილი სკოლის უკან, ჩაკვეტაძეებისა და ხელაიების უბნებში,
- სოფ. გუმათში ავალიანების, დაჩების, ველას უბნებში,
- სოფ. ჩუნეშში (მე-10 ქუჩაზე), ზედა ჩუნეშში ლორთქიფანიძე-თვალოძეების უბანში,
- სოფ. ყუმისთავში შალამბერიძეების უბანში,
- სოფელ ბანოჯაში 39-ე ქუჩაზე,
- სოფ. მაღლაკში იმერეთის საყრდენ პუნქტში (ეკომიგრანტთა დასახლება) და ჭელიძეების უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსებით საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 მლნ. ლარი გამოიყო, რომლითაც დაფინანსდა 44 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და სადარბაზოების შეკეთებითი სამუშაოები, რომელთაგან 39 მისამართზე სამუშაოები დასრულებულია , მათ შორის 18 საანგარიშო პერიოდში, 5 კორპუსში სამუშაოები მიმდინარეობს და 2025 წლის 1 კვატრალში დასრულდება.

ამ პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური განსახლების ადგილებში არსებული საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების შესაკეთებლად, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამული მუხლიდან 117401 ლარი იქნა გამოყოფილი.

მუნიციპალიტეტის მერიამ გაითვალისწინა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მოთხოვნა და 2025 წლის პირველი იანვრიდან კორპუსებში თანადაფინანსებით სახურავების შეკეთებითი სამუშაოები მერიის მიერ ნაცვლად 85% - ისა 90%-ით იქნება დაფინანსებული.

2024 წლის სექტემბერში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული 42 კერძო საცხოვრებელი სახლის მფლობელს დაზაინებული სახურავების შეკეთებისთვის გადაეცა გადახურვისათვის საჭირო მასალები (გოფრირებული მოთუთუებული თუნუქი, სამშენებლი ბლოკები,ხის მასალები (კოჭი, ფიცარი) .

კაპიტალურად შეკეთდა სტიქიის შედეგად დაზიანებული 21 საცხოვრებელი კორპუსის სახურავები ქალაქი წყალტუბოში, სოფ. თერნალსა და მუხიანში.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 8 სოციალურად დაუცველ ოჯახს საკუთრებაში გადაეცა ახლადაშენებული საცხოვრებელი სახლები, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 412000 ლარი შეადგინა.

ყოველწლიურად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ეტაპობრივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები. ამ მიმართებით 2024 წლის III- IV კვატრალში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 650000 ლარი იქნა გამოყოფილი.

2024 წლის დასაწყისში დაიწყო და ძირითადად მესამე კვარტალში დასრულდა ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით " გათვალისწინებული სამუშაოები. ამ პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2024 წელს 704000 ლარი გამოიყო , რასაც დაემატა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 644000 ლარი, რომელიც ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ თითოეულ სოფელში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით იქნა გადანაწილებული და დაფინანსდა ისეთი სამუშაოები, რომლებიც პრიორიტეტულად მათ მიერვე იქნა შერჩეული და ინიცირებული. სულ ამ პროგრამის ფარგლებში 59 სხვადასხვა ლოკაციაზე განხორციელდა ადგილობრივი, შიდასასოფლო და შიდა საუბნო გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის, ბეტონის შესყიდვის, ფანჩატურების, ტრენაჟორების, სკვერების, სანიაღვრე არხების, გარე განათებების მოწყობის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში შეუფერხებლად ხორციელდებოდა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება, რისთვისაც კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას გაწეული მომსახურებისათვის სექტემბრიდან- დეკემბრის ჩათვლით ჯამურად ჩაერიცხა - 188925 ლარი.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განხილული და შესწავილი იქნა 472 განცხადება და წერილი, რომლებიც სავადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების, ტერიტორიების კეთილმოწყობის, საზოგადეობრივი და დასასვენებელი სივრცეების, სკვერების მოწყობის, წყალანირების სისტემებისა და ღვარსადენი არხების მოწყობა/ რეაბილიტაციის საკითხებს შეეხებოდა. თითოეული განცხადება და წერილი კონტროლზეა აყვანილი და შესაძლებლობის ფარგლებში ეტაპობრივად

განხორციელდება, ხოლო გარკვეული ნაწილი შეტანილი იქნება შემდგომ ეტაპზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხაში.

სამსახურის უფროსი: მ. ჩხეიძე